

განათლების მეცნიერებები

დარგობრივი დოკუმენტი - სამუშაო ვარიანტი

განათლება ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ მაინც განსხვავებული სფეროსაგან შედგება, ერთია მასწავლებელთა მომზადება (განათლება), ხოლო მეორე – განათლების მეცნიერებები. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განათლების მეცნიერებების და მასწავლებელთა განათლების პროფილის განსაზღვრა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრიატისათვის.

თავისი არსითა და კვლევის მეთოდებით თანამედროვე ეტაპზე განათლება განიხილება, როგორც უფრო სოციალური მეცნიერება, ვიდრე ჰუმანიტარული, თუმცა შეხების წერტილები მას ჰუმანიტარულ მეცნიერებებთანაც საკმაოდ მოეპოვება. განათლება, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ფსიქოლოგიას (ასაკობრივი და განათლების ფსიქოლოგია), ფილოსოფიას (ეთიკა, ესთეტიკა, ლოგიკა, სოციალური ფილოსოფია) და აგრეთვე სოციოლოგიას და კულტურის კვლევებს, ისტორიას (ისტორიული ანთროპოლოგია, მეცნიერების ისტორია), ლინგვისტიკას (სოციოლინგვისტიკა) და სხვ.

ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ მასწავლებელთა განათლებას/მომზადებას და განათლების მეცნიერებებს. ამასთან, ეს დოკუმენტი, ერთის მხრივ, ასახავს საზოგადოების/დამსამქმებლების/ბაზრის დაკვეთას და მეორეს მხრივ, უმაღლესი აკადემიური სასწავლებლების პერსონალის, სტუდენტებისა და კურსადმთავრებულების დაკვეთას ამ დარგისადმი.

ა) განათლების მეცნიერებები

I. სფეროს აღწერა

განათლების მეცნიერების ამოცანას წარმოადგენს განათლების პროცესების შესწავლა და მათი გაუმჯობესების გზების დასახვა (მაგ: ქვევის თეორიათა რეალიზაცია პედაგოგიურ პრაქტიკაში).

განათლების მეცნიერებათა სისტემა თანამედროვე ეტაპზე განიხილება, როგორც ფუნდამენტური (პედაგოგიკის ისტორია და თეორია, პედაგოგიური ანთროპოლოგია, განათლების ფილოსოფია, განათლების პოლიტიკა, ისტორიულ-შედარებითი პედაგოგიკა და ა.შ.), ასევე გამოყენებითი მეცნიერება (ზოგადი და კერძო დიდაქტიკები, სპეციალური პედაგოგიკა, სპორტული პედაგოგიკა, სკოლის მენეჯმენტი, საბიბლიოთეკო საქმე, კურიკულუმის შესწავლა და ა.შ.). თუ ფუნდამენტურ მეცნიერებაში ზოგადპედაგოგიური თეორიული საფუძვლები მოიაზრება, განათლების მეცნიერების გამოყენებითი დარგები ახდენს ამ ზოგადთეორიული კონცეფციების მისადაგებასა და რეალიზაციას პრაქტიკასთან. განათლების მეცნიერებების სპეციალისტები მუშაობენ სკოლებში, საბავშვო ბაღებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებში, განათლების ადმინისტრირების სააგენტოებში.

II. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი და კვალიფიკაცია

განათლების მეცნიერებებში პირველ აკადემიურ ხარისხს აქვს ტენდენცია მულტიდისციპლინარულობისაკენ. პირველ საფეხურზე ასევე სახეზეა საგანმანათლებლო კვლევის სპეციალური კომპონენტის არსებობის მზარდი ტენდენციაც. პირველ საფეხურზე განათლების მეცნიერებებში მისანიჭებელი ხარისხი: განათლების ბაკალავრი.

III. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს საკვანძო ტრანსფერულ და პროფესიულ კომპეტენციებს, რომელებიც წარმოადგენს ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ერთობლიობას, აუცილებელს საგანმანათლოებლო და განათლების ადმინისტრირების დაწესებულებაში მუშაობისათვის.

1. დარგობრივი კომპეტენციები:

1.1. დარგობრივი ცოდნა

- საგანმანათლებლო კონცეფციის, თეორიის და პოლიტიკის ცოდნა;
- სასწავლო პროცესის მონაწილეთა განსხვავებული როლების გაცნობიერება;
- საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურისა და მიზნების გაგება;

1.2. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება /დარგობრივი უნარები

- განათლების თეორიების და მეთოდოლოგიის ზოგადი და კონკრეტული სასწავლო აქტივობის საფუძვლად გამოყენების უნარი;
- მოსწავლეთა მრავალფეროვნებისა და სწავლის პროცესის სირთულეების დანახვის და მასზე რეაგირების უნარი;
- სწავლისა და სწავლების რიგი სტრატეგიების ცოდნა და გამოყენების უნარი;
- საგანმანათლებლო პროგრამების/მასალების შეფასების უნარი;

2. ზოგადი კომპეტენციები:

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- დროის დაგეგმვისა და მართვის (დროის მენეჯმენტის) უნარი;
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- მეორე (უცხოურ) ენაზე კომუნიკაციის უნარი;
- კვლევის სათანადო დონეზე წარმართვის უნარი;
- სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი.
- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი;
- ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა);
- პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი.

IV. სწავლა, სწავლება და შეფასება

განათლების მეცნიერებები ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი სწავლა, სწავლება, შეფასების მიდგომებით. სასწავლო პროცესში სწავლების მრავალფეროვან მეთოდთა გამოყენება ღირებულია ორი თვალსაზრისით: მეთოდთა მრავალფეროვნება უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის ეფექტიან ათვისებას და ამ მეთოდთა დაუფლებას საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

მასწავლებელთა განათლების მიმართულებით გავრცელებული მეთოდებია:

- ლექციები და პრეზენტაციები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- დისკუსია;
- დებატები;
- მცირე ჯგუფებში და წყვილებში მუშაობა;

- ვიდეო მასალის განხილვა;
- პორტფოლიოს წარმოება;
- პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება;
- ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები;
- მოდელირებული სიტუაციების განხილვა;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- შემთხვევის ანალიზი;
- სემინარები;
- ზეპირი პრეზენტაციები.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები ერთმანეთთან და კომპეტენციებთან შესატყვისი უნდა იყოს. აგრეთვე, შეფასების მეთოდები ნათლად უნდა იყოს დაკავშირებული სწავლების მიზანთან.

შეფასების სტრატეგიებმა უნდა უპასუხოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპეტენციების შეფასების საჭიროებას. შეფასების სტრატეგიების სპექტრი ასახავს ცოდნის, უნარების, თვისებებისა და ღირებულებების ასპექტებს.

შეფასების მეთოდებიდან ძირითადად იყენებენ:

- შუალედური და შემაჯამებელი ტესტები, (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით);
- ესე;
- ზეპირი პრეზენტაციები;
- შემაჯამებელი გამოცდა;
- პორტფოლიო;
- ჩატარებული გაკვეთილის შეფასება;
- შემთხვევის ანალიზი.

ბ) მასწავლებლის მომზადება

I. სფეროს აღწერა

მასწავლებლის პროფესია უშუალოდ არის "დროზე მიბმული" და კანონითაა რეგულირებული. მასწავლებლის მომზადების პროგრამა სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტთან. კურიკულუმის კომპონენტები და მიღწევების სტანდარტები უნდა შეესაბამებდეს განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ნაციონალურ რეგულაციებს და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საქართველოში მასწავლებელთა განათლების არაერთი საბაკალავრო პროგრამა მოქმედებს, ესენია: დაწყებითი განათლების მასწავლებელი; დაწყებითი განათლების/მუსიკალური აღზრდის მასწავლებელი; დაწყებითი განათლების/უცხო ენის მასწავლებელი; დაწყებითი განათლების/სახელოვნებო განათლების მასწავლებელი; პედაგოგი, მეთოდისტი, ფსიქოლოგი და დირექტორი სკოლამდელ დაწესებულებაში (ბაგა-ბადი); სპეციალური პედაგოგი (ბაგა-ბაღების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების და ზოგადსაგანმანათლებლო (ინკლუზიური) სკოლების მასწავლებელი; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრების, ლოგოპედიური ცენტრებისა და კაბინეტების მასწავლებელი; სამედიცინო დაწესებულებების და ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრების მასწავლებელი).

II. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი და კვალიფიკაცია

ბაკალავრიატის დონეზე მზადდება დაწყებითი სკოლის მასწავლებელი. პირველ საფეხურზე მასწავლებელთა მომზადებაში მისანიჭებელი ხარისხი: დაწყებითი განათლების ბაკალავრის

III. სწავლის შედეგები

მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა უნდა შეიძინოს მთელი რიგი ტრანსფერული და პროფესიული კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნას, ფასეულობებსა და უნარებს, აუცილებელს მაღალკვალიფიციური მასწავლებლის სტანდარტის მისაღწევად. განათლების მეცნიერების განვითარების ტემპის გათვალისწინებით უნდა მომზადდეს ისეთი პედაგოგი, რომელსაც ექნება პროფესიული ცოდნის დამოუკიდებლად შექმნისა და გაღრმავების უნარი.

1. დარგობრივი კომპეტენციები:

1.1. დარგის ცოდნა

- იმ საგნის ცოდნა, რომელიც უნდა ასწავლოს;
- განათლების თეორიების და მეთოდოლოგიის საფუძვლების ცოდნა;
- სწავლისა და სწავლების რიგი სტრატეგიების ცოდნა
- საგანმანათლებლო პოლიტიკის გაცნობიერება;
- საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურისა და მიზნების გაგება;

1.2. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება /დარგობრივი უნარები

- მოსწავლეთა მრავალფეროვნებისა და სწავლის პროცესის სირთულეების დანახვის და მასზე რეაგირების უნარი;
- სწავლისა და სწავლების რიგი სტრატეგიების გამოყენების უნარი;
- განათლების თეორიების და მეთოდოლოგიის ზოგადი და კონკრეტული სასწავლო აქტივობის საფუძვლად გამოყენების უნარი;
- სასწავლო პროცესის კვლევის და შედეგების პრაქტიკაში გათვალისწინების უნარი;
- სწავლის მასტიმულირებელი ატმოსფეროს შექმნის უნარი;
- მოსწავლის მიღწევებითა და წარმატებებით დაინტერესების უნარი;
- კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და განსხვავებული სტრატეგიების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი

2. ზოგადი კომპეტენციები:

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- დროის დაგეგმვისა და მართვის (დროის მენეჯმენტის) უნარი;
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;
- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი;
- პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების გაცნობიერების უნარი.

IV. სწავლა, სწავლება და შეფასება

იმის გამო, რომ თანამედროვე სამყაროში მასწავლებელთა მომზადების მიმართ მოთხოვნები გაიზარდა, დღის წესრიგში დადგა ერთი მხრივ, ინტერდისციპლინური საბაზისო ცოდნის და უნარების მიცემა, ხოლო მეორეს მხრივ, ინტერდისციპლინურ კონტექსტში მუშაობის უნარის დაუფლება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სწავლების, სწავლის და შეფასების მრავალფეროვანი თანამედროვე მეთოდების მოქნილი გამოყენება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

მასწავლებელთა განათლების მიმართულებით გავრცელებული მეთოდებია:

- ლექციები და პრეზენტაციები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- დისკუსია;
- დებატები;
- მცირე ჯგუფებში და წყვილებში მუშაობა;
- იდეო მასალის განხილვა;
- პორტფოლიოს წარმოება;
- პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება;
- ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები;
- მოდელირებული სიტუაციების განხილვა;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- შემთხვევის ანალიზი;
- სემინარები;
- ზეპირი პრეზენტაციები.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები ერთმანეთთან და კომპეტენციებთან შესატყვისი უნდა იყოს. აგრეთვე, შეფასების მეთოდები ნათლად უნდა იყოს დაკავშირებული სწავლების მიზანთან.

შეფასების სტრატეგიებმა უნდა უპასუხოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპეტენციების შეფასების საჭიროებას. შეფასების სტრატეგიების სპექტრი ასახავს ცოდნის, უნარების, თვისებებისა და ღირებულებების ასპექტებს.

შეფასების მეთოდებიდან ძირითადად იყენებენ:

- შუალედური და შემაჯამებელი ტესტები, (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით);
- ესე;
- ზეპირი პრეზენტაციები;
- შემაჯამებელი გამოცდა;
- პორტფოლიო;
- ჩატარებული გაკვეთილის შეფასება;
- შემთხვევის ანალიზი.

დარგობრივი დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროგრამის ფარგლებში. მას საფუძვლად დაედო თუნიზის კომპეტენციების კითხვარების საფუძველზე დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციები. წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

1. ნათელა იმედაძე – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. სოფიო ლობჯანიძე – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

3. ქეთევან მაცაშვილი – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. თამარ ტალიაშვილი – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. ეთერ ღვინერია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6. ნინო ჯავახიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. მარინე ჯაფარიძე – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი